მეტაფორა და პრესუპოზიცია პოლიტიკურ დისკურსში: დონალდ ტრამპისა და ჯო ბაიდენის ინაუგურაციის გამოსვლების შედარებითი დისკურსის ანალიზი

ნინო გეგეჭკორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მიმართულება: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათნადო წესების შესაბამისად.

ნინო გეგეჭკორი

19.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის მეტაფორისა და პრესუპოზიციის ლინგვისტურ სტრატეგიებს პოლიტიკურ დისკურსში - დონალდ ტრამპისა და ჯო ბაიდენის ინაუგურაციის გამოსვლების შედარებითი დისკურსის ანალიზზე დაყრდნობით. პოლიტიკური დისკურსი გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენაში. ეს კვლევა მიზნად ისახავს განიხილოს მეტაფორებისა და პრესუპოზიციების ძალა პოლიტიკურ დისკურსში, თუ როგორ არიან ისინი გამოყენებული ნარატივების ჩამოსაყალიბებლად და გარკვეული იდეოლოგიების გადმოსაცემად. კვლევის მიზანია გამოიკვლიოს პოლიტიკური დისკურსის ზოგიერთი ძირითადი ლინგვისტური ელემენტი და დისკურსული სტრატეგია. ამ ანალიზის შედეგები ნათელს მოჰფენს პოლიტიკოსების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს საზოგადოების აღქმაზე ზემოქმედებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად. ნაშრომში გამოყენებულია ვან დეიკის კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიდგომა, დონალდ ტრამპისა და ჯო ბაიდენის მიერ პრესუპოზიციების, ნაცვალსახელების იმპლიკატურებისა და მეტაფორების გმოყენების მაგალითები, ასევე გამოყენებულია პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი ბოლო კვლევები, რომელიც ითვალისწინებს შემეცნებითი მეტაფორის ანალიზს, რაც დაფუძნებულია ლაკოფისა და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიაზე, რის მიხედვითაც ისინი ხაზს უსვამენ კონცეპტუალური მეტაფორების გავლენას აზროვნების ფორმირებაზე და მათ მიზანმიმართულ გამოყენებაზე საზოგადოების დარწმუნებაში საჯარო გამოსვლების მეშვეობით. კვლევაზე დაყრდნობით, ტრამპისა და ბაიდენის რადიკალურად განსხვავებული შეფასებები რეალობის შესახებ და მათ მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებები პოტენციურად ხელს უწყობენ მზარდ იდეოლოგიურ განხეთქილებას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, პრესუპოზიცია, კოცეპტუალური მეტაფორა, კრიტიკული დისკურსის ანალიზი.

Abstract

This paper examines the linguistic strategies of metaphor and presupposition in political discourse - based on a comparative discourse analysis of the inauguration speeches of Donald Trump and Joe Biden. Political discourse plays a crucial role in shaping public opinion and influencing decision-making. This study aims to examine the impact of metaphors and press positions in discourse on how they are used to shape narratives and convey the necessary ideologies. The purpose of the study is to examine some of the main key elements and discursive strategies of political Lee discourse. The results of this analysis shed light on the strategies used by politicians to influence public perception and gain political power, they emphasize the thought formation of conceptual metaphors and their purposeful use through public persuasion speeches. Moreover, Trump and Biden's radically different assessments of reality and the solutions they propose potentially contribute to a growing ideological divide.

Keywords: Political discourse, presupposition, conceptual metaphor, critical discourse analysis.